ქართული ღვინო

ღვინის ეროვნული სააგენტო

ანგარიში

2019 წელი, II კვარტალი

შესავალი ..... 2 გვ.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია ..... 2 გვ.

ექსპორტი ..... 10 გვ.

ვენახების კადასტრი..... 11 გვ

ქართული ვაზის კულტურის კვლევა..... 12 გვ.

ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირება..... 13 გვ.

რთველი 2019 .....14 გვ

მარშალ გელოვანის 6, 0159, საქართველო, თბილისი. T: +995 32 974103. www.georgianwine.gov.ge

E: info.georgianwine@georgianwine.gov.ge

შესავალი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა.

საანგარიშო პერიოდის ძირითადი საქმიანობა მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- ❖ ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;
- ❖ ღვინის წარმოების ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირება;
- ❖ მევენახეობის კადასტრის პროგრამის განხორციელება;
- ❖ ქართული ღვინის კულტურის კვლევა;
- ❖ რთველი 2019-სთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

მიმდინარე წლის განვლილ 6 თვეში ქართული ღვინო წარდგენილი იყო 15 გამოფენაზე მსოფლიოს 9 ქვეყანაში - საქართველო, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ჩინეთი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები და კორეა. ამავე პერიოდში გაიმართა ქართული ღვინის 61 დეგუსტაცია მსოფლიოს 8 ქვეყანაში - ჩინეთი, პოლონეთი, აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, აზერბაიჯანი და საფრანგეთი.

ტოკიოში გამოფენა „საქართველო ღვინის სამშობლო“ გაიმართა

6 მაისს, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში, საგამოფენო ცენტრში „Terrada Warehouse” გამოფენა „საქართველო ღვინის სამშობლო“ დასრულდა. გამოფენამ, რომელიც ამავე სახელწოდების პროექტის ფარგლებში 10 მარტიდან ორი თვე მიმდინარეობდა, ათასობით იაპონელ დამთვალიერებელს უმასპინძლა.

იაპონელებისთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ქართული ღვინო და მისი ისტორია, რომელიც 8000 წლის წინ დაიწყო. ექსპოზიცია აერთიანებდა უნიკალურ არქეოლოგიურ ექსპონატებს; კონცეფცია გულისხმობდა ქართული ღვინის კულტურის უნიკალურობის თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოჩენას.

პროექტი მსოფლიოში უმსხვილესი კომპანიის Sony music communication და კომპანია TOPPAN-ის პარტნიორობით განხორციელდა. გამოფენა მოიცავდა ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციებსა და სემინარებს, რომლებსაც სხვადასხვა დროს უძღვებოდნენ იაპონიაში ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში, ასევე ბრიტანელი ღვინის მწერალი ენდრიუ ჯეფორდი, ცნობილი იაპონელი სატელევიზიო წამყვანი ჰიტოში ქუსანო, მწერალი ზურაბ ქარუმიძე, ქართველი სუმოისტები ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე) და გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი) და სხვა.

პროექტი „საქართველო – ღვინის სამშობლო“, რომლის ორგანიზატორები არიან ღვინის ეროვნული სააგენტო და ასოციაცია „ქართული ღვინო“, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, იაპონიაში საქართველოს დიპლომატიური უწყების და ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით მიმდინარეობდა.

Wine and Gourmet Japan - 2019

17-19 აპრილს ტოკიოში საერთაშორისო გამოფენაში ”Wine and Gourmet Japan 2019“ ქართული ღვინის მწარმოებელი 12 კომპანია მონაწილეობდა. წელს საქართველო ”Wine and Gourmet Japan“-ის პარტნიორი ქვეყანა იყო და ამის გათვალისწინებით, გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის 2 წარდგენა-დეგუსტაცია გაიმართა. ქართული ღვინის პრეზენტაციას ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიის თავმჯდომარე ანა გოდაბრელიძე და იაპონიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი დავით გოგინაშვილი უძღვებოდნენ. ანა გოდაბრელიძემ სტუმრებს 12 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოები წარუდგინა, ესაუბრა ქართული ღვინის კულტურასა და ქართული ღვინოების მრავალფეროვნებაზე.

ქართული ღვინის პრეზენტაცია დუბლინში

10 აპრილს ღვინის ეროვნული სააგენტოსა და ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, დუბლინში ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა. ღონისძიება რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა: მასტერკლასი და პრეზენტაცია, რომელსაც ღვინის პროფესიონალები, ჟურნალისტები, ღვინის იმპორტიორები, სარესტორნო და სასტუმრო ბიზნესის წარმომადგენლები და სომელიეები დაესწრნენ, ხოლო საღამოს გაიმართა მიღება, რომელსაც ირლანდიის მთავრობის, პარლამენტის, ბიზნესისა და მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქართულმა „ქარვისფერმა ღვინომ“ OIV-ის მხარდაჭერა მოიპოვა

ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში „ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინის“ შეტანის საკითხი განხილვის საბოლოო ეტაპზე გადავიდა. პარიზში, OIV-ის სათაო ოფისში გამართულ სამუშაო შეხვედრას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა დაესწრო, სადაც „ქართული ტრადიციული მეთოდებით დამზადებული ღვინის“ სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში შეტანის საკითხმა სამუშაო ჯგუფის მხარდაჭერა მოიპოვა. OIV-ის პროცედურების შესაბამისად, საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება 2020 წელს.

ბუნებრივი ღვინის ფესტივალი

ბუნებრივი ღვინის საერთაშორისო ფესტივალი "ZERO COMPROMISE" 10 მაისს თბილისში გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი ასოციაცია ბუნებრივი ღვინო, ხოლო მხარდამჭერი ღვინის ეროვნული სააგენტო იყო. ფესტივალში მონაწილეობდა 70-მდე ადგილობრივი მარანი და ასევე ბუნებრივი ღვინის მწარმოებლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ფესტივალს იმპორტიორები, ღვინის მწერლები და ჟურნალისტები, იტალიიდან, იაპონიიდან, გერმანიიდან, პორტუგალიიდან, ნიდერლანდებიდან, კანადიდან, სულ მსოფლიოს 13 ქვეყნიდან დაესწრნენ, რომლებიც სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის ჩამოვიდნენ საქართველოში.

ახალი ღვინის ფესტივალი

ათასობით ადამიანი დაესწრო თბილისში, მთაწმინდის პარკში 11 მაისს გამართულ ახალი ღვინის ფესტივალს, რომელიც წელს მე-10-დ აღინიშნა. ახალი ღვინის ფესტივალში სულ 250 ღვინის მწარმოებელი, როგორც დიდი კომპანია, ისე მცირე და საშუალო საოჯახო მარანი მონაწილეობდა.

ფესტივალზე დასასწრებად საქართველოს მსოფლიოს 13 ქვეყნიდან 70-მდე სტუმარი: ღვინის ექსპერტები, მაგისტრები, იმპორტიორები, ბლოგერები და მედიის წარმომადგენლები ეწვიენ. ფესტივალი საქართველოს ღვინის კლუბის ორგანიზებით და ღვინის ეროვნული სააგენტოს და თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო კახეთის, ქართლის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის, სამცხე-ჯავახეთის საუკეთესო ღვინოები.

VinExpo Bordeaux-2019

საფრანგეთის ქალაქ ბორდოში 13-16 მაისს ღვინის საერთაშორისო გამოფენა VinExpo Bordeaux-2019 გაიმართა, რომელშიც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანია მონაწილეობდა.

ოთხდღიანი გამოფენის ფარგლებში, ქართული ღვინო ათასობით ადამიანმა დააგემოვნა, მათ შორის იყვნენ ღვინის პროფესიონალები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მათში განსაკუთრებულ ინტერესს ქვევრის ღვინო, მისი წარმოების ტრადიცია და კულტურა იწვევდა.

საქართველო, ერთიანი სტენდით უკვე მესამედ იყო წარდგენილი აღნიშნულ გამოფენაში, რაც ქართველ მწარმოებლებს შესაძლებლობას აძლევს მოიძიონ სავაჭრო პარტნიორები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

London Wine Fair 2019

ლონდონის საგამოფენო ცენტრში „Olympia London“ გამოფენა „London Wine Fair 2019” 20-22 მაისს გაიმართა, რომელშიც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით ქართული ღვინის მწარმოებელი 15 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში თამარ ბერუჩაშვილი დაესწრო.

გამოფენის ფარგლებში ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Swirl Wine Group“ ხელმძღვანელმა, ბრიტანელმა ღვინის მაგისტრმა სარა ებოტმა (Sarah Abbott) ქართული ღვინის სამი პრეზენტაცია-დეგუსტაცია ჩაატარა: ქვევრის ღვინოზე, საფერავსა და თანამედროვე ღვინოებზე.

Women in Wine Expo 2019

ქალი მეღვინეების პირველი საერთაშორისო გამოფენა „Women in Wine Expo 2019” 23-24 მაისს ნიდერლანდებსა და ბელგიაში გაიმართა. გამოფენაში საქართველოდან 12 მეღვინე ქალი მონაწილეობდა საქართველოდან. გამოფენა ორ ნაწილად იყო გაყოფილი: პირველი ნაწილი გაიმართა ნიდერლანდებში, ქალაქ როტერდამში, მეორე ნაწილი ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში. „Women in Wine Expo 2019”-ში ქართველი მეღვინეების მონაწილეობის მხარდამჭერი სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო იყო.

„საქართველო, სადაც ყველაფერი დაიწყო...“

26 მაისს ქართული ღვინო პოლონეთის ქალაქ კრაკოვში გამართულ ნატურალური ღვინოების პირველ ფესტივალზე “Confetti wine fest” იყო წარდგენილი. ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაცია „ვინისფერას“ ხელმძღვანელმა მარიუშ კაპჩინსკიმ ფესტივალის ფარგლებში ღონისძიება „საქართველო, სადაც ყველაფერი დაიწყო...“ გამართა, სადაც ქართული ქვევრის ღვინო იყო წარმოდგენილი.

ღონისძიებას ადგილობრივი სომელიეები, რესტორნის მეპატრონეები, ჟურნალისტები და ღვინის პროფესიონალები დაესწრნენ. მარიუშ კაპჩინსკი მათ ქართული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნებაზე, ქართული ღვინის კულტურასა და ისტორიაზე ესაუბრა.

OIV-ის მაგისტრანტების ვიზიტი საქართველოში

27-30 მაისს საქართველოს ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ჯგუფი ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, OIV-ის

ღვინის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ქართული ღვინის კულტურასა და თანამედროვე მეღვინეობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაეცნენ.

OIV-ის ღვინის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ვიზიტი საქართველოში მნიშვნელოვანია ქართული ღვინისა და ღვინის კულტურის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდის კუთხით საერთაშორისო მასშტაბით, რადგან ჯგუფის წევრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას წარმოადგენდნენ.

OIV-ის მაგისტრანტები უკვე მეოთხედ ეწვივნენ საქართველოს. OIV-მა სასწავლო პროგრამის ერთ-ერთ სავიზიტო ქვეყნად საქართველო 2016 წლიდან ჩართო. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მეღვინეობის დარგს სხვადასხვა ქვეყანაში ეცნობიან.

WinExpo Georgia 2019

ღვინის საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia 2019 თბილისში 13-15 ივნისს გაიმართა.

WinExpo Georgia კავკასიის რეგიონში ყველაზე მასშტაბური გამოფენაა, სადაც წარმოდგენილია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელის წარმოებისთვის საჭირო ყველა კომპონენტი - მევენახეობა-მეღვინეობის მანქანა-დანადგარები, სასუქები, ნერგები, ტარა და შესაფუთი მასალები, აქსესუარები და სერვისების ფართო სპექტრი. გამოფენაში 12 ქვეყნის (საქართველო, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, ესპანეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსია და თურქეთი) 160-მდე კომპანია მონაწილეობდა, რომელთა შორის 110-ზე მეტი ღვინის მწარმოებელი როგორც დიდი კომპანია, ისე საშუალო და მცირე მარანი იყო.

WinExpo Georgia-ს ოფიციალური მხარდამჭერები არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ღვინის ეროვნული სააგენტო.

WinExpo Georgia-ს ფარგლებში გამართულ ღვინის მე-11 საერთაშორისო კონკურსზე International Wine Competition ოქროს მედალი 26-მა ღვინომ დაიმსახურა. ამასთან ერთად, ვერცხლის მედლით 52 და ბრინჯაოს მედლით 133 ღვინო დაჯილდოვდა. კონკურსზე წარდგენილი იყო როგორც მსხვილი კომპანიების, ასევე მცირე და საოჯახო მარნების, ჯამში 81 კომპანიის წარმოებული 300-ზე მეტი ღვინის ნიმუში.

გამარჯვებულ კომპანიებს ჯილდოები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ხატია წილოსანმა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზლამ და კონკურსის ჟიურის წევრებმა გადასცეს.

ქართულმა ფილმმა „საქართველო ღვინის სამშობლო“ მარსელის კინემატოგრაფიის ფესტივალზე სპეციალური პრიზი მიიღო

ქართულმა სამეცნიერო მხატვრულ-დოკუმენტურმა ფილმმა „საქართველო ღვინის სამშობლო“ საფრანგეთის ქალაქ მარსელში გამართულ ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის ფესტივალზე „Oenovideo“ - ფესტივალის პარტნიორთა მიერ დაწესებული მეცნიერებისა და კულტურის სპეციალური პრიზი მიიღო. ეს პრიზი ტრადიციულად ფრანგულ ან უცხოურ ფილმს გადაეცემა, რომელიც ღვინისა და ვაზის მემკვიდრეობის კულტურულ და მეცნიერულ მიდგომას ან მეთოდს წარმოაჩენს.

მეღვინეობა-მევენახეობისადმი მიძღვნილი ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის მსოფლიოში ყველაზე დიდი ისტორიის მქონე „Oenovideo“, ყოველწლიურად მარსელის „ევროპისა და ხმელთაშუაზღვის ცივილიზაციების მუზეუმში“ იმართება. წელს, ფესტივალის შესარჩევ ეტაპზე, 144 ფილმი მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ნომინანტების სიაში კი მათგან მხოლოდ 37, მათ შორის, „საქართველო ღვინის სამშობლო“ მოხვდა.

ფილმი „საქართველო ღვინის სამშობლო“ იმ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევას ეძღვნება, რომლითაც მეცნიერულად დასაბუთდა, რომ სწორედ საქართველოა ღვინის სამშობლო და 8000 წლის წინ სწორედ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ღვინის პირველი წარმოება, რაც უწყვეტად გაგრძელდა თანამედროვეობამდე. ფილმში ასევე ასახულია

2017 წელს ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის ცენტრში, გამართული ექსპოზიცია - „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“ .

სამეცნიერო-მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი გადაღებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სააგენტოს „საქპატენტის“ მხარდაჭერით. ორმოცწუთიანი ფილმის რეჟისორია ალექსანდრე გაბუნია. გადაღებები სხვადასხვა დროს საქართველოსა და აშშ-ში, ასევე იტალიასა და საფრანგეთში მიმდინარეობდა. ფილმი გადაღებულია სტუდია „სინემანი ფილმს“- ის ბაზაზე.

ღვინის პროფესიონალები ჩინეთიდან და ჰონგ-კონგიდან საქართველოს ეწვივნენ

12-17 ღვინის პროფესიონალები ჩინეთიდან და ჰონგ-კონგიდან, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Meiburg Wine Media''-ის დირექტორის, ღვინის მაგისტრ დებრა მეიბურგის ხელმძღვანელობით, საქართველოს ეწვივნენ.

ღვინის ტურის ფარგლებში სომელიეებისა და იმპორტიორებისგან შემდგარი ჯგუფის წევრებმა ღვინის საწარმოები ქართლსა და კახეთში მოინახულეს. თბილისში ასევე გაიმართა სხვადასხვა კომპანიის ღვინის დეგუსტაცია, სადაც სტუმრებმა 54 ღვინის კომპანიის სხვადასხვა სახეობის ღვინოები დააგემოვნეს, რითაც ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს საშუალება მიეცათ, ჩინეთისა და და ჰონგ-კონგის ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიონალებისგან რჩევები და რეკომენდაციები მიეღოთ. აღსანიშნავია, რომ ჰონგ-კონგის ჯგუფის წევრები, მათი მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე, ძირითადად ორიენტირებული იყვნენ პრემიალური ხარისხის და მაღალი საფასო კატეგორიის ღვინოებზე.

იაპონელი ღვინის პროფესიონალების ვიზიტი

ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანია Red Bridge-ის ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში საქართველოში იაპონელი ღვინის იმპორტიორებისა და სომელიეების ჯგუფთან ერთად 13-17 ივნისს იმყოფებოდა.

ტურის ფარგლებში სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ეწვივნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას ადგილზე გაეცნენ. თბილისში ასევე გაიმართა სხვადასხვა კომპანიის ღვინის დეგუსტაცია, სადაც ღვინის პროფესიონალებმა 27 ღვინის კომპანიის სხვადასხვა სახეობის 100-მდე ღვინო დააგემოვნეს.

Seoul Interenational Wines and Spirits Expo 2019

20-22 ივნისს კორეის რესპუბლიკის დედაქალაქ სეულში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში ,Seoul Interenational Wines and Spirits Expo 2019 ქართული ღვინის მწარმოებელი 10 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენის ფარგლებში ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანია „Meiburg Wine Media''-ის ხელმძღვანელმა, ღვინის მაგისტრმა დებრა მეიბურგმა ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გამართა.

ქვევრის ღვინის მესამე საერთაშორისო კონკურსი

ქვევრის ღვინის მესამე საერთაშორისო კონკურსი თბილისში 21 და 22 ივნისს გაიმართა. კონკურსი ასოციაცია „ქართული ღვინო"-ს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოში უკვე მესამედ ჩატარდა.

კონკურსში ღვინის 320 ნიმუში 120-მა კომპანიამ წარადგინა. ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონკურსი საქართველოში პირველად 2017 წელს ჩატარდა და მას შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიების ინტერესი ქვევრში ღვინის დაყენების მიმართ.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი

2019 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან მსოფლიოს 44 ქვეყანაში 40,5 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც 2018 წლის ამავე მაჩვენებელს 6%-ით აღემატება. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 98 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 9%-ით მეტია.

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: აშშ - 88% (354874 ბოთლი), ჩინეთი - 19% (3554127) და პოლონეთი - 16% (1821802). ზრდა აღსანიშნავია ასევე შემდეგ ქვეყნებში: საფრანგეთი - 120% (55908), ლიეტუვა - 68% (315306), მონღოლეთი - 68% (146892), ბელარუსი - 32% (889002), ისრაელი - 20% (131184), კანადა - 12% (83220), გერმანია - 11% (317771), ესტონეთი - 11% (326966), რუსეთი - 6%, (25582447), მოლდოვა - 3618% (263210) და ა.შ.

ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულია: რუსეთი (25582447), უკრაინა (3752488), ჩინეთი (3554127), პოლონეთი (1821802) და ყაზახეთი (1656318).

ადგილწარმოშობის დასახელებებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“ – 7304286 ბოთლი, “მუკუზანი“ – 2328699, „წინანდალი“ - 1829563, ახაშენი - 750244, „ხვანჭკარა“ – 480890 და ა.შ.

6 თვის მონაცემებით, სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 229-მა კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, მსოფლიოს 18 ქვეყანაში ექსპორტირებულია 12,6 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 50%-ით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა 27,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა 62%). მსოფლიოს 23 ქვეყანაში ექსპორტირებულია 238 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 34% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 633,2 ათას აშშ დოლარს აღწევს (ზრდა 20%).

ვენახების კადასტრის პროგრამა

2019 წელს ღვინის ეროვნულმა სააგენტომ გააგრძელა ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება, რომელიც წარმოაჩენს ვენახებისა და ღვინის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მდგომარეობას. პროგრამა მოიცავს: ორთოფოტოების გადაღებას, საკადასტრო რუკების მომზადებას, ვენახების იდენტიფიკაციას და ვექტორიზაციას, ინფორმაციის შეკრებას ვენახებისა და მევენახეების შესახებ.

2019 წლის II კვარტალში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- განახლდა კადასტრისათვის გამოყენებული მონაცემთა ბაზა ABACO;
- სატენდერო პირობებით შეირჩა კომპანია „რუკა მაპინგი“ ვენახების საკადასტრო სამუშაოების შესასრულებლად: ა) ახალი საკადასტრო ინფორმაციის შეკრება გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებისათვის; ბ) ვენახების კადასტრის მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის დაზუსტება ყვარელისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის მევენახეებისა და მათი ვენახების შესახებ;
- ვენახების კადასტრის მონაცემთა ბაზაში (ABACO) განახლდა ინფორმაცია ყვარლის მუნიციპალიტეტში არსებული ვენახების შესახებ კომპანია „რუკა მაპინგის“ მიერ; 30 ივნისის მდგომარეობით განახლებულია 2991 მევენახის ინფორმაცია.
- ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ შეირჩა 15 პირი საკადასტრო ინფორმაციის განახლების მიზნით გურჯაანისა და ყვარლის მუნიციპალიტეტში;
- პრეზენტაცია ვენახების კადასტრის შესახებ მოეწყო მევენახეთა კონფერენციაზე ქალაქ გურჯაანში.

ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის პროექტი

2019 წლის მეორე კვარტალში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- ისრაელის ვეისმანის ინსტიტუტის D-REAMS ლაბორატორიაში განხორციელდა არქეოლოგიური მასალის

ათი ნიმუშის C14 მეთოდით დათარიღება. მათ შორისაა: 1) 2018 წელს ნეოლითური პერიოდის ძეგლის „შულავერის გორის“ გათხრების დროს აღმოჩენილი კარბონიზირებული მცენარეული ნაშთების 3 ნიმუში - ნიმუშები დათარიღდა ძვ. წ. 6005-5720 წლებით; 2) სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლებიდან „რუსთავი“ (ქალაქ რუსთავის ტერიტორია), „მცხეთის ჯვარი“ (ქალაქი მცხეთა) და „ნორიო“ (სოფ. ნორიო) აღებული ვაზის წიპწების 5 ნიმუში საქართველოში მოპოვებული ვაზის წიპწების ქრონოლოგიის აღდგენისათვის - ეს ნიმუში დათარიღდა ძვ. წ. 545 - ახ. წ. მე-19 საუკუნეებით.

- საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ ტორონტოს უნივერსიტეტის არქეოლოგებთან თანამშრომლობით, არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა მარნეულის რაიონში მდებარე „შულავერის კულტურის“ (ძვ. წ. 6000 წელი) ნეოლითურ ნასახლარებზე სახელწოდებით „გადაჭრილი გორა“, „შულავერის გორა“ და „იმირის გორა“ მევენახეობა - მეღვინეობასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალის მოპოვებისა და შემდგომი შესწავლის მიზნით.

2019 წლის 3-8 ივნისს იტალიის ქალაქ ლეჩეში გამართულ არქეობოტანიკური კვლევის მე-18 პალეოეთნოგრაფიულ საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილი იყო ზეპირი მოხსენება ჩვენი პროექტის მონაწილის, მონპელიეს უნივერსიტეტის მკვლევარის ლორან ბოუბის მიერ თემაზე „Tracking the history of cultivated grapes (Vitis vinifera) in Georgia combining archaeobotany, geometric morphometrics and ancient DNA“. ეს მოხსენება დაფუძნებული იყო ქართული ვაზის წარმოშობის კვლევის შედეგებზე, რომელიც შესრულდა ჩვენი პროექტის ფარგლებში.

ღვინის წარმოების ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირება

ლაბორატორიული შემოწმება

ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, განვლილ 6 თვეში 120 დეგუსტაცია ჩაატარა. სულ წარმოდგენილი იყო 4640 ნიმუში, მათგან 415 შეფასდა უარყოფითად, დანარჩენი 4225 დადებითად.

სერტიფიცირება

საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად წლის პირველ ნახევარში სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ 4094 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია: VI-1 ფორმის სერტიფიკატი / ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 2743 ცალი; შესაბამისობის სერტიფიკატი - 3588 ცალი; სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე სულ გაცემულია 6331 სერტიფიკატი.

სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება

განვლილ 6 თვეში ალკოჰოლური სასმელების კომპანიებში განხორციელდა 72 საინსპექციო კონტროლი, საიდანაც აღებული 400 ნიმუშიდან, სერტიფიკატის გაცემაზე უარი 15 შემთხვევაში ეთქვა კომპანიას. ამასთან ერთად, სახელმწიფო კონტროლისა და სახელმწიფო ზედახმედველობის ფარგლებში შემოწმება ჩატარდა 28 კომპანიაში, საიდანაც აღებულ იყო 1000-მდე ნიმუში, 7 კომპანიაში აღმოჩენილ იყო გარკვეული სახის დარღვევები, რაზეც განხორციელდა კანონით განსაზღვრული მოქმედებები.

დარგის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები

რთველის მოსამზადებელი შეხვედრა

14 ივნისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა 2019 წლის რთველის საორგანიზაციო საკითხები და დაგეგმილი სიახლეები ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე განიხილა. როგორც მინისტრმა შეხვედრაზე აღნიშნა, 2019 წლის რთველის პერიოდში, ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში, მევენახეები და ღვინის კომპანიები დაცული ადგილწარმოშობის დასახელების - „ქინძმარაული“, „ახაშენი“, „ყვარელი“ და „მუკუზანი“ მიკროზონების ყურძნის საწარმოებში ჩაბარებას მხოლოდ ვენახების კადასტრის ამონაწერის საფუძველზე შეძლებენ. ეს, ხელს შეუწყობს რთველის პროცესის გამარტივებას და გამჭვირვალედ ჩატარებას, ასევე ქართული ღვინის ხარისხის ზრდას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სექტორის სტაბილური განვითარებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ღვინის მაღალი ხარისხი არის მთავარი ფაქტორი ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შუქდება ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში (http://wine.gov.ge/, https://www.facebook.com/Wines.of.Georgia/, https://www.facebook.com/nationalwineagency/, https://twitter.com/Georgian_wine, https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ)